საბჭოთა კავშირის ეთნიკური პოლიტიკის (ეთნო-ფედერაციული დაყოფა) მემკვიდრეობა: ეთნიკური კონფლიქტები

(ჩეჩნეთისა და აფხაზეთის შედარებითი ანალიზი)

ფიქრია სუბელიანი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახლემწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტესტზე კავკასიის კვლევების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

რეგიონალური კვლევები: კავკასიის კვლევები

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო ფავლენიშვილი

ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2025

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომელიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“

ფიქრია სუბელიანი

05.06.2025

მადლობა

მინდა ღრმა მადლიერება გამოვხატო ყველა იმ ადამიანის მიმართ, ვინც წვლილი შეიტანა ჩემი სამაგისტრო ნაშრომის მომზადების პროცესში.

განსაკუთრებულად მადლიერი ვარ მოცემული სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორის, ნინო ფავლენიშვილისადმი, რომელმაც თავისი გამოცდილებითა და პროფესიული ცოდნით დიდი დახმარება გამიწია როგორც კვლევის, ისე ნაშრომის წერის პროცესში.

ასევე, მადლობა მინდა გადავუხადო ყველა იმ რესპონდენტს, რომელმაც მონაწილეობა მიიღო ნახევრად სტრუქტურირებულ ინტერვიუში და მომაწოდა ნაშრომისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია.

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს საბჭოთა ეთნოფედერალიზმის როლის განსაზღვრას კონფლიქტების ინიცირების პროცესში, პოსტსაბჭოთა სივრცეში. კვლევა ცდილობს აჩვენოს, როგორ იმოქმედა ეთნოფედერალიზმის სტრუქტურამ და სიმბოლურმა მახასიათებლებმა ეთნიკური იდენტობების პოლიტიზაციასა და კონფლიქტების გაღვივების პროცესზე. ნაშრომის ძირითადი კითხვაა: რომელმა მახასიათებლებმა გახადეს საბჭოთა ეთნოფედერალიზმი იმ გავლენიან ფაქტორად, რომელმაც ხელი შეუწყო პოსტსაბჭოთა სივრცეში ეთნიკური კონფლიქტების ინიცირებას?

კვლევა ემყარება ჰიპოთეზას, რომლის მიხედვითაც საბჭოთა ეთნოფედერალიზმი, როგორც ეთნიკური ნიშნით ჩამოყალიბებული პოლიტიკურ-ადმინისტრაციული წყობა, ქმნიდა საფუძველს იდენტობის კონსოლიდაციისთვის და მოლოდინების გაზრდისთვის, რაც ცენტრის დასუსტების შემდეგ კონფლიქტების მთავარი მამოძრავებელი გახდა. კვლევის თეორიული ჩარჩო ეფუძნება სტრუქტურულ და ეთნიკურ იდენტობაზე ორიენტირებულ მიდგომებს, მათ შორის ტედ გურის ფარდობითი დეპრივაციის თეორიას, პრიმორდიალიზმსა და ინსტრუმენტალიზმს, და ე. ჯენის ტრიადული კონფლიქტის მოდელს.

მეთოდოლოგიურად ნაშრომი ეფუძნება შემთხვევისა და შედარებით ანალიზს, დოკუმენტურ წყაროებსა და ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუების შედეგების ინტერპრეტაციას. შემთხვევის შესწავლისთვის არჩეულია აფხაზეთისა და ჩეჩნეთის ავტონომიური რესპუბლიკები, როგორც ერთი სტატუსის მქონე, მაგრამ განსხვავებულ კონფლიქტურ პროცესში მოქცეული ერთეული. ანალიზის შედეგად იკვეთება, რომ მიუხედავად გეოპოლიტიკური და ელიტური განსხვავებებისა, საბჭოთა ეთნოფედერალიზმის მიერ შექმნილმა ინსტიტუციურმა ჩარჩოებმა ორივე რეგიონში ხელი შეუწყო ეთნიკური მობილიზაციის პოლიტიზაციასა და დამოუკიდებლობის მოთხოვნის ლეგიტიმაციას.

საკვანძო სიტყვები: საბჭოთა ეთნოფედერალიზმი, ეთნოსი, ჩეჩნეთი, აფხაზეთი, საბჭოთა კავშირი.

Abstract

This thesis aims to explore the role of Soviet ethno-federalism in triggering ethnic conflicts in the post-Soviet space. It seeks to demonstrate how the structural and symbolic characteristics of ethno-federalism contributed to the politicization of ethnic identities and facilitated conflict in the aftermath of Soviet disintegration. Which characteristics of Soviet ethnofederalism contributed to its role as a significant factor in the emergence of ethnic conflicts in the post-Soviet space?"

The research is based on a hypothesis that Soviet ethno-federalism, as a system of politically and ethnically delineated territorial units, provided the institutional foundation for identity consolidation and rising expectations, which, under conditions of central weakness, evolved into mass ethnic mobilization and conflict. The theoretical framework combines structuralist and identity-based approaches, including Ted Gurr's theory of relative deprivation, primordialism and instrumentalism, and Erin Jenne's model of triadic conflict.

Methodologically, the thesis relies on comparative case study analysis, document-based research, and the interpretation of semi-structured expert interviews. The selected cases are the Autonomous Republics of Abkhazia and Chechnya, two entities with distinct statuses but similar trajectories of post-Soviet conflict. The analysis reveals that despite significant geopolitical and elite-level differences, the institutional legacy of Soviet ethno-federalism in both cases enabled the politicization of identity and legitimization of sovereignty demands.

Keywords: Soviet ethno-federalism, ethnicity, Chechnya, Abkhazia, Soviet Union